

შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2019 წლის 20 დეკემბერი

დაბა შუახვევი

„შუახვევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „შუახვევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილების დანართში (ვებგვერდი: matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.135.016232) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შუახვევის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი დავითაძე

დანართი

შუახვევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

თავი I

ბიუჯეტის ბალანსი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13355,233	9482,827	0,000	9482,827	13013,335		13013,335
გადასახადები	4983,110	6070,992	0,000	6070,992	3700,000		3700,000
გრანტები	7393,473	2987,488	0,000	2987,488	8724,720		8724,720



სხვა შემოსავლები	978,650	424,347	0,000	424,347	588,615		588,615
ხარჯები	4930,249	5475,400	0,000	5475,400	5839,393		5839,393
შრომის ანაზღაურება	1024,556	1280,554	0,000	1280,554	1295,161		1295,161
საქონელი და მომსახურება	996,358	934,110	0,000	934,110	1100,410		1100,410
პროცენტი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000		0,000
სუბსიდიები	1818,325	2563,451	0,000	2563,451	2889,182		2889,182
გრანტები	0,000	0,000	0,000	0,000	0,000		0,000
სოციალური უზრუნველყოფა	430,099	290,998	0,000	290,998	398,640		398,640
სხვა ხარჯები	660,911	406,287	0,000	406,287	156,000		156,000
საოპრაციო საღდო	8424,984	4007,427	0,000	4007,427	7173,942		7173,942
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8241,224	5019,986	0,000	5019,986	7821,903		7821,903
ზრდა	8241,224	5019,986	0,000	5019,986	7821,903		7821,903
კლება	0,000	0,000			0,000		
მოტიანი საღდო	183,760	-1012,559	0,000	-1012,559	-647,961		-647,961
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1406,608	-1664,159	0,000	-1664,159	-651,600		-651,600
ზრდა	0,000	0,000	0,000	0,000	0,000		0,000
ვალუტა და დეპოზიტი	0,000	0,000			0,000		
სესხები	0,000	0,000			0,000		
კლება	1406,608	1664,159	0,000	1664,159	651,600		651,600
ვალუტა და დეპოზიტი	1406,608	1664,159		1664,159	651,600		651,600
სესხები	0,000	0,000			0,000		
ვალდებულებების ცვლილება	0,000	0,000	0,000	0,000	-3,639		-3,639
ზრდა	0,000	0,000	0,000	0,000	0,000		0,000
საშინაო	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
საგარეო	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
კლება	0,000	0,000	0,000	0,000	3,639		3,639



საშინაო	0,000	0,000		0,000	3,639		3,639
საგარეო	0,000	0,000			0,000		
ბალანსი	1590,368	651,600	0,000	651,600	0,000		0,000

მუხლი 2. შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	13355,233	9482,827	0,000	9 482,827	13013,335		13 013,335
შემოსავლები	13355,233	9482,827	0,000	9 482,827	13013,335		13 013,335
არაფინანსური აქტივების კლება	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
ვალდებულებების ზრდა	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
გადასახდელები	13171,473	10495,386	0,000	10 495,386	13664,935		13 664,935
ხარჯები	4930,249	5475,400	0,000	5 475,400	5839,393		5 839,393
არაფინანსური აქტივების ზრდა	8241,224	5019,986	0,000	5 019,986	7821,903		7 821,903
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,000	0,000	0,000	0,000	0,000		0,000
ვალდებულებების კლება	0,000	0,000	0,000	0,000	3,639		3,639
ნაშთის ცვლილება	183,760	-1012,559	0,000	-1 012,559	-651,600		-651,600

მუხლი 3. შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13 013 335 ლარის ოდენობით:

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------	-----------------



დასახელება	სულ	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის
			საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13 355,233	9 482,827	9 482,827	13 013,335	13 013,335
გადასახადები	4 983,110	6 070,992	6 070,992	3 700,000	3 700,000
გრანტები	7 393,473	2 987,488	2 987,488	8 724,720	8 724,720
სხვა შემოსავლები	978,650	424,347	424,347	588,615	588,615

მუხლი 4. შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები
განისაზღვროს შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახადები 3 700 000 ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა	
	სულ	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის
			საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	4983,110	6070,992	6 070,992	3 700,000	3 700,000
ქონების გადასახადი	4825,140	5821,528	5 821,528	3 450,000	3 450,000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4825,140	5821,528	5 821,528	3 450,000	3 450,000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,000	0,000		0,000	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	0,000	0,000		0,000	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	0,000	0,000		0,000	
დამატებული ღირებულების გადასახადი				250,000	250,000
საშემოსავლო გადასახადი	157,970	249,464	249,464	0,000	
სხვა გადასახადი	0,000	0,000		0,000	

მუხლი 5. შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს შუახევის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გრანტები 8 724 720 ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა	
	სულ	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის
			საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები



გრანტები	7 393,473	2 987,488	2 987,488	8 724,720	8 724,720
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	3 722,281	2 987,488	2 987,488	4 850,000	4 850,000
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	0,000	0,000		0,000	
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	3 671,192	0,000	0,000	3 874,720	3 874,720
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1 627,200	0,000	0,000	2 300,000	2 300,000
სპეციალური ტრანსფერი	1 627,200	0,000		2 300,000	2 300,000
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	2 043,992	0,000	0,000	1 574,720	1 574,720
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,000	0,000		0,000	
ა.ა.რ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2 043,992	0,000		1 574,720	1 574,720
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,000	0,000		0,000	
სხვა ტრანსფერები	0,000	0,000		0,000	

მუხლი 6. შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 588 615 ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა	
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	978,650	424,347	0,000	424,347	588,615	588,615
შემოსავლები საკუთრებიდან	323,359	338,031	0,000	338,031	230,000	230,000
პროცენტები	215,767	209,226	0,000	209,226	120,000	120,000
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	215,767	209,226		209,226	120,000	120,000
რენტა	107,592	128,805	0,000	128,805	110,000	110,000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსავალი მიწის	106,545	127,715		127,715	100,000	100,000



იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	1,047	1,090		1,090	10,000	10,000
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	30,919	20,886	0,000	20,886	40,000	40,000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	9,973	7,579	0,000	7,579	10,000	10,000
სანებართვო მოსაკრებელი	3,022	0,058		0,058	0,000	0,000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	3,022	0,058		0,058	0,000	
სახელმწიფო ბაჟი	0,000	0,000			0,000	
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,000	0,000			0,000	
სატენდერო მოსაკრებელი	0,000	0,000			0,000	
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,000	0,000			0,000	
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,000	0,000			0,000	
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6,951	7,521		7,521	10,000	10,000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	20,946	13,307	0,000	13,307	30,000	30,000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	20,946	13,307	0,000	13,307	30,000	30,000
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	0,000	0,000			0,000	
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	20,946	13,307	0,000	13,307	30,000	30,000
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	20,946	13,307		13,307	30,000	30,000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	0,000	0,000			0,000	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	302,279	44,380		44,380	318,615	318,615
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	268,737	0,000		0,000	0,000	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	53,356	21,050		21,050	0,000	

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 5 839 393ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი				2019 წლის გეგმა	
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



ხარჯები	4 930,249	5 475,400	0,000	5 475,400	5 839,393	0,000	5 839,393
შრომის ანაზღაურება	1 024,556	1 280,554	0,000	1 280,554	1 295,161	0,000	1 295,161
საქონელი და მომსახურება	996,358	934,110	0,000	934,110	1 100,410	0,000	1 100,410
პროცენტი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
სუბსიდიები	1 818,325	2 563,451	0,000	2 563,451	2 889,182	0,000	2 889,182
გრანტები	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
სოციალური უზრუნველყოფა	430,099	290,998	0,000	290,998	398,640	0,000	398,640
სხვა ხარჯი	660,911	406,287	0,000	406,287	156,000	0,000	156,000

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7 821 903 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7 821 903 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	168,400	225,500	225,500	103,060	0,000	103,060
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6899,941	3526,021	3526,021	6682,945	0,000	6682,945
განათლება	589,246	460,955	460,955	757,522	0,000	757,522
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	84,605	89,989	89,989	183,366	0,000	183,366
მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	499,032	717,521	717,521	95,010	0,000	95,010
ჯამი	8241,224	5019,986	5019,986	7821,903	0,000	7821,903



ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივები	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
ძირითადი აქტივები	0,000	0,000			0,000		
არაწარმოებული აქტივები	0,000	0,000			0,000		

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

გადასახდელების (ხარჯების) დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1746,407	2 058,288	0,000	2 058,288	2 040,831	0,000	2 040,831
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 746,407	2 058,288	0,000	2 058,288	2 040,831	0,000	2 040,831
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 746,407	1 988,419		1 988,419	1 930,831		1 930,831
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,000	69,869		69,869	110,000		110,000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
თავდაცვა	67,938	79,701	0,000	79,701	82,200	0,000	82,200
სამოქალაქო თავდაცვა	67,938	79,701		79,701	82,200		82,200



საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
სახანძრო სამსახური	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
ეკონომიკური საქმიანობა	1 213,734	1 015,940	0,000	1 015,940	1 762,643	0,000	1 762,643
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა							
ტრანსპორტი	1 213,734	1 015,940		1 015,940	1 762,643		1 762,643
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
გარემოს დაცვა	104,854	139,036	0,000	139,036	65,249	0,000	65,249
ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	79,550	57,439		57,439	45,000		45,000
ჩამდინარე წყლების მართვა	25,304	81,597		81,597	20,249		20,249
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	6 201,316	3 058,477	0,000	3 058,477	5 473,253	0,000	5 473,253
კომუნალური მეურნეობის განვითარება	334,054	308,293		308,293	545,370		545,370
წყალმომარაგება	5 125,401	2 428,835		2 428,835	2 725,983		2 725,983
გარე განათება	576,594	223,118		223,118	1 169,200		1 169,200
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	165,267	98,231		98,231	1 032,700		1 032,700
ჯანმრთელობის დაცვა	347,382	446,781	0,000	446,781	457,464	0,000	457,464
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება							
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	347,382	446,781		446,781	457,464		457,464
დასვენება, კულტურა და რელიგია	700,987	917,132	0,000	917,132	1 083,466	0,000	1 083,466
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	205,525	228,216		228,216	321,866		321,866
მომსახურება კულტურის სფეროში	478,750	672,445		672,445	732,600		732,600
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანო	16,712	16,471		16,471	29,000		29,000
სხვა არაკლასიფიცირებული							



საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,000	0,000		0,000	0,000		0,000
განათლება	1 490,290	1 736,456	0,000	1 736,456	2 282,004	0,000	2 282,004
სკოლამდელი აღზრდა	1 208,574	1 466,865		1 466,865	1 777,247		1 777,247
ზოგადი განათლება	0,000	0,000			0,000		
განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0,000	0,000			0,000		
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	281,716	269,591		269,591	504,757		504,757
სოციალური დაცვა	1 298,565	1 043,575	0,000	1 043,575	414,186	0,000	414,186
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომელიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	39,400	31,187		31,187	36,000		36,000
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 259,165	1 012,388		1 012,388	378,186		378,186
სულ ბიუჯეტის გადასახდელები	13 171,473	10 495,386	0,000	10 495,386	13 661,296	0,000	13 661,296

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -651 600 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 651600 ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება – 651600 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 110 000 ლარის ოდენობით დამისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

შუახვევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები



1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. რაც აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საქმიანობის ხელშეწყობას.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია შემდგომი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, მისი ექსპლუატაცია ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, სანიტარიული დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავება, მაწანწალა ცხოველებთან და მღრნელებთან ბრძოლა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

შუახვევის მუნიციპალიტეტი მაღალმთიან რეგიონს განეკუთვნება, ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ამ კუთხით გათვალისწინებულია სხვადასხვა სოფლებში გზების რეაბილიტაცია.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემას.

2.2.1 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური.

2.2.2 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)



მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია

1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა.

2.2.2.2.1 უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 02 02)

პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. იგი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ეხება სანიტარიულ ჰიგიენური პირობების დაცვას, მაწანწალა ცხოველებთან ბრძოლას. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გაუნებელყოფა. რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. დასახლებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვას, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ჩამოსულ სტუმართა კეთილდღეობას.

2.2.3 წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პირობითი კოდი 03 02 03)

მოსახლეობის სასმელი წყლით მიმარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. უნდა აღინიშნოს რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა, მუშაობისა და გათვალისწინებული შემთხვევების აღმოფხვრისათვის შუახვევის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „შუახვევის კომუნალური სამსახური“, სადაც დასაქმებულია 58 თანამშრომელი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 39 სარწყავი არხი, სადაც დასაქმებულია (4 თვის განმავლობაში) 53 კაცი, რომლებიც უზრუნველყოფენ 243 კმ სიგრძის არხების მოვლა-პატრონობას. აღნიშნული არხებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის სოფლების 3110 ოჯახი. ასევე აღნიშნული სამსახური უზრუნველყოფს დაგვა-დასუფთავებას, გარეგანათების მოვლა პატრონობას. დაბისა და ხიჭაურის ტერიტორიის გამწვანებით უზრუნველყოფას.

2.2.4 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები (პირობითი კოდი 03 02 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბის კეთილმოწყობის ღონისძიებები: კერძოდ, მოეწყობა საახალდაბოს ტერიტორია.

3. საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

3.1 სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 11 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 400 ბავშვი. სამტატო რიცხოვნობა 2019 წლისათვის შეადგენს 181 ერთეულს. ახალი სასწავლო წლისათვის დამატებით ფუნქციონირებას დაიწყებს დამატებით 1 ბაღი.

3.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ნიგაზეულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა, რაც აღნიშნულ სოფლებში სკოლების სიმორის გამო არის გამოწვევული. ყოველივე ეს



4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, დაფინანსდება: ფეხბურთის ხელშეწყობის ღონისძიებები, აიპი „შუახევის სასპორტო სკოლა“ და ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სკოლა, ზრუნავს ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ჭიდაობის (ქართული, ძიუდო და თავისუფალი ჭიდაობა) წრეები სადაც დაკავებულია 185 ბავშვი და სათხილამურო სპორტის 5 ჯგუფი, რომელშიც ასევე 70 ბავშვი ვარჯიშობს. აღმზრდელ-მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 25 პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული დანიშნულების ქსელის გაფართოება. თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. არსებული საშუალებების მაქსიმალურად ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა. დაგეგმილია ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია.

4.2.1 აიპ შუახევის კულტურის ცენტრი(პროგრამული კოდი 05 02 01)

შუახევის კულტურის ცენტრი აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვადასხვა ფოლკლორულ და ვოკალურ ანსამბლებს რომლებმაც წარმატებით გაიარეს სახელმწიფო აკრედიტაცია და აქვთ საკმაოდ დიდი მიღწევები, კულტურის ცენტრში აგრეთვე მოქმედებსდრამატურიისა და ნორჩ დეკლამატორთა შემსწავლელი წრე, ლიტერატურისა და ტურიზმის, ხელოვნების, ქსოვის, ქარგვის, გამოყენებითი ხელოვნებისა დახატვისა და დაწყებითი მოდელირების წრეები რომელთაგან 60 მოსწავლეა ჩართული. ყოველივე აქედან გამომდინარე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები ანსამბლების ფორმებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებებში და გამოფენებში მონაწილეობა.

4.2.2 აიპ შუახევის ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 02)

აიპი შუახევის „სახელოვნებო სკოლაში“ ამჟამად სწავლობს 80 ბავშვი, ჯგუფი: საფორტეპიანო, საორგესტრო და ხალხური ჯგუფები, სკოლაში მუშაობს 12 პედაგოგი. ყოველივე აქედა გამომდინარე მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას.

4.2.3 ახალგაზრდული პროგრამების და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს



ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამ კუთხით მუნიციპალიტეტში მოქმედებს 3 მიზნობრივი პროგრამა. რაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას.

5.1.2 ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა 06 01 02)

ცერებრალური დაავადებით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაცია კურსებზე მგზავრობის ღირებულების ხარჯით უზრუნველყოფა, თანმხლებ პირთან (მშობელთან) ერთად.

5.1.3 აიპ შუახვეის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 03)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული იქნა შუახვეის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიების ტრანსპორტი და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მდებარე თემები და სოფლები მნიშვნელოვნად დაშორებულია დაბის ცენტრთან, მოსახლეობის პირველადი სამედიცინო მომსახურებისა და ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის აღნიშნული პროგრამით შესაძლებელი იქნება თემებში მდებარე ამბულატორიების მედიკამენტებით უზრუნველყოფა და თემებში დასაქმებული მედპერსონალის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობას გაეწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება.

5.2 სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)

უფასო სასადილოს პროგრამითსარგებლობენ შუახვეის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველიუკიდურესად გაჭირვებული, მარტოხელა,მზრუნველობამოკლებულიდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 42ბენეფიციარი.ხორციელდება ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფა.

5.2.2 ოთხ და მეტ 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03)



